პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

ორშაბათი
17
თებერვალი
1936 წ.
№ 3 (62)

ვემზადოთ პროფკავშირების საანგარიშო კამპანიისათვის

დაიწყო საქართველოს უმაღლესი სკოლების და საკვლეო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირების საანგარიშო კამპანია. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომი და სტუდენტთა ალმასბიურო უკვე შეუდგა ძირა რგოლების პროფორგანიზატორების საანგარიშო კამპანიის ჩატარებას.

საანგარიშო კამპანია უნდა ჩატარდეს თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. გამომჟღავნებული უნდა იქნეს ჩატარებული მუშაობის სუსტი რგოლები. საანგარიშო კამპანიამ უნდა უზრუნველყოს საუკეთესო პროფმუშაკების მოქცევა პროფორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებში.

ამხ. სტალინმა, ამ რამდენიმე თვის წინად, პროფკავშირის საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ამჟამად პროფკავშირის მუშაობას ახასიათებს თავისებური კრიზისი, რაც აიხსნება პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სუსტი მუშაობით.

პროფკავშირის ხელმძღვანელობა ჩამორჩა; ისინი ვერ ნახულობენ საკუთარ ადგილს, ვერ აუღეს ალღო იმ მთავარ ამოცანებს, რომელიც დასვა მათ წინაშე საბჭოთა ქვეყნის განვითარებამ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმასბიუროს და ადგილკომის მიერ ჩატარებულ მუშაობას აქვს ერთდაგვარი მიღწევები. მაგრამ მათი მუშაობას აქვს სერიოზული ხარვეზებიც. მათი პრაქტიკული საქმიანობა ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნილებას, უმთავრესად გატაცებული არიან სასწავლოპროცესის ორგანიზაციით, ახდენენ დეკანების დუბლირებას, მაშინ როცა მათი მუშაობის მთავარი რგოლი-კულტურულ საყოფაცხოვრებო საკითხები—შედარებით მივიწყებულ უბანს წარმოადგენს.

მიმდინარე საანგარიშო კამპანიამ, პროფორგანიზაციების მუშაობა უნდა აიყვანოს მის სიმაღლემდე. საანგარიშო კამპანია უნდა ჩატარდეს ბოლშევიკურად, კავშირის წევრთა მთელ მასის დარაზმვით. ამ მასამ უნდა გამოიყვანოს დღის სინათლეზე უმოქმედო და არა კეთილ სინდისიერად განწყობილი ადამიანები, რომლებიც შემთხვევით მოხდენ პროფორგანიზაციათა ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

უნივერსიტეტის ადგილკომისა და ალმასბიუროს სადღეისო ამოცანაა: პროფგანათლების საქმის თავის პრინციპულ სიმაღლემდე აყვანა, „პროფკავშირული მეურნეობის“ მოწესრიგება, კავშირის წევრთა კულტურული და ტექნიკური განათლების დონის ამაღლება, საბავშო ბაღის მუშაობის გაფართოება და გაუმჯობესება, სოციალისტური დაზღვევის საქმის მოწესრიგება, პროფესორ-პედაგოგიურ, ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალისა და სტუდენტთა საბინაო პირობების გაუმჯობესება, საკლუბო და ფიზკულტურული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება და რაც მთავარია სტახანოვური მუშაობის დანერგვა და გაშლა.

საზამთრო სესიების შედეგები

(ფიზ. მათ. ფაკულტეტი)

სასწავლო წლის დასაწყისიდანვე შეუდექით ბრძოლას სწავლების მაღალი ხარისხის მოპოვებისათვის: სუსტ სტუდენტთა შორის მასწავლებელთა და ძლიერ სტუდენტთა მეშვეობით ჩატარებული იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა: 73 სუსტ და ჩამორჩენილ სტუდენტზე მიმაგრებული იქნენ სურვილისა და შესაძლებლობის მიხედვით ძლიერი სტუდენტები და მასწავლებლები. (პროფ. ლ. გოკიელი, პროფ. მუსხელიშვილი). აღსანიშნავია ასისტენტების ცხადაიას, გვახარიას, ჩახტაურის და სხვათა დახმარება კონსულტაციებისა და დამატებითი საათების ჩატარებით სუსტ სტუდენტებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფაკულტეტის დეკანის—პროფ. ნ. მუსხელიშვილის მზრუნველობა სტუდენტთა შორის წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებაზე, რის შესახებ მას სპეციალური საუბრები ჰქონდა საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტებთან.

როგორია სესიების წინასწარი შედეგები?

თუ წინა სემესტრში საშუალო ნიშანი ფაკულტეტზე 3,54 იყო, ეხლა—3,72-ია, აქედან: კომკავშირელთა საშუალო ნიშანია 3,79., ხოლო უპარტიოების—3,76.

ფრიადოსანთა რიცხვი 7-ია, (4 კომკავშირელია,) ამას გარდა წარჩინებული 4-ია' დამკვრელი კი—63.

ფაკულტეტის ფრიადოსნებია: ადამია დავით—კ. კ.—V კ., გობეჯიშვილი მაქსიმე—V კ., მელაძე მარო—კ. კ.—V კ., სულაქველიძე გიორგი—უპ.—2 კ., გვახარია კალისტრატე—უპ.—V კ., ჭყოიძე ვარლამ—უპ.—V კ., ვატაევა ალექსანდრა—კ. კ.—2 კ.

წარჩინებულთა შორის გამოირჩევიან: ძაგანია ბაგრატ—კ. კ.—V კ., კუკავაძე გიორგი—კ. კ.—V კ., ავაზიშვილი დავით—კ. კ.—V კ., ვეკუა ნიკოლოზ—კ. კ.—4 კ., პატარია ნიკანორ—კ. კ.—3 კ., მელუა მარგარიტა—კ. კ.—2 კ., იმერლიშვილი ელენე—კ. კ.—1 კ., გვანჯი მანია—კ. კ.—1 კ., მოზდოკელი ელენე—უპ.—1 კ., ჭრელაშვილი ამირამ—უპ.—2 კ., ხარაზოვი დავით—უპ.—3 კ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ზოგიერთი აკადემიურად ძლიერ ჩამორჩენილი სტუდენტები, მაგ., გვილავა ალექსანდრე—1 კ.—უპ. არ ჩაუბარებია 6 საგანი (გაირიცხა),

ქებაძე ივანე—უპ.—1 კ.—დარჩა 3 საგანი (გაირიცხა)," და სხვ.

ვ. ჩინჩლაძე.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მისალმება ამხ. ლ. ბერიას

ძვირფასო ამხ. **ლავრენტი!** ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი მხურვალე სალამს გიძღვნით შენ, ამხანაგ **სტალინის** საუკეთესო მოწაფეს, რომლის ხელმძღვანელობითაც ა.-კ. ბოლშევიკებმა, ჩვენი დიდი ბელადის და მასწავლებლის, საყვარელი სტალინის მითითებათა საფუძველზე, ერთსულოვან ოჯახად შეამჭიდროვეს ა.-კ. ხალხები, მიაღწიეს მხარის სამეურნეო და კულტურულ აყვავებას და გადააქციეს იგი საბჭოთა კავშირის მარგალიტად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის კონკრეტული ხელმძღვანელობით, თქვენი ყოველდღიური დახმარებითა და მზრუნველობით ტფილისის სახ. უნივერსიტეტმა შესძლო მიმდინარე წელს გამოეშვა მაღალი კვალიფიკაციის, კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლი, ლენინისა და სტალინის პარტიის ერთგული კადრები.

შეუპოვარი მუშაობით, შენი საბრძოლო ხელმძღვანელობით, ჩვენ შევძელით მეცნიერული დისციპლინების წარმატებით ათვისება და უნივერსიტეტის სრული კურსის ბრწყინვალედ დამთავრება.

თვითეულ ჩვენგანს შეგნებული აქვს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელსაც მას აკისრებს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის სახელწოდება. ყოველი ჩვენგანი აღგზნებულია თავისი სპეციალობის სიყვარულით და იმის გაგებით, რომ საბჭოთა კავშირში ყოველ უბანზე მუშაობა მნიშვნელოვანი და საამაყოა.

ამხ. ლავრენტი! პირობას გაძლევთ, რომ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მთელი სიმტკიცით ვიმუშავებთ ყველა იმ უბანზე, სადაც პარტია მუშაობას დაგვავალებს. პირობას გაძლევთ პრაქტიკული მუშაობით კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონე და ვიყოთ სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლნი.

გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელს და ბელადს დიდ **სტალინს!**

გაგიმარჯოს შენ, ა.-კ. ბოლშევიკებისა და მშრომელთა საყვარელ ხელმძღვანელს, ამხანაგო ლავრენტი!

(ხელს აწერს 302 დიპლომანტი)

საზეიმო სხდომა

5 თებერვალს ტფ. სახ. უნივერსიტეტის კლუბში შედგა უნივერსიტეტის პირველ გამოშვებისადმი მიძღვნილი სხდომა.

საზეიმოდ მორთული კლუბი ვერ იტევს მოზღვავებულ მაყურებლებს. დარბაზში სიცოცხლე და სიხარული იფრქვევა. დღეს უნივერსიტეტი **სტალინის** ქვეყანას აძლევს 569 უმაღლეს კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს.

სრულ 8 საათზე იხსნება ფარდა. სცენის სიღრმეში, წითელ დროშებს შორის მოჩანს დიდი **ლენინისა** და **სტალინის** ბიუსტი. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

საზეიმო სხდომას, რომელსაც ესწრებოდა პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები, ხსნის სახ. უნივერსიტეტის რექტორი ამხ. **კ. ორაგველიძე.** მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს.

მქუხარე ტაშის უწყვეტელ გრიალით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. **სტალინი, პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა, ამხ. ლ. ბერია, დიმიტროვი, ტელმანი, მგალობლიშვილი, მახარაძე,** და **სტახანოვი.** საქმიან პრეზიდიუმში—ამხ. **ბაქრაძე, ა. თათარიშვილი, ვ. გოგეშვილი, შ. ჩიხლაძე, კ. ორაგველიძე, ხ. ჟუბენავა, რ. მელაძე, დ. დოლიძე, შ. ნუცუბიძე** და სხვ., რომელთა არჩევას დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

სახ. უნივერსიტეტის პირველ გამოშვების შესახებ, მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის პრორექტორი ამხ. **გრ. ჯანელიძე.**

სიტყვით გამოვიდენ ამხ. დოლიძე—განსახკომის სახელით. ამხ. დოლიძემ მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სხდომას გააცნო სია და განსახკომის დადგენილება, ენერგიულ მუშაობისათვის პროფესორ-ლექტორთა და 65 ფრიადოსან კურსდამთავრებულთა დაჯილდოვების შესახებ. პროფესორ-ლექტორთა სახელით მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა პროფ. შ. ნუცუბიძემ. უნივერსიტეტის სტ. ორგანიზაციების სახელით—ამხ. ვ. გეგეჭკორმა. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და მთავრობის სახელით—ამხ. რ. მელაძემ, კურსდამთავრებულ სტუდენტთა სახელით—ამხ. კალანდარაშვილმა და სხვ.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს, საქართველოს ცეკას და ა-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. **ლ. ბერიას.**

სხდომის ბოლოს გაიმართა დიდი, მეტად შინაარსიანი კონცერტი, ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილისა და მოზ. მაყ. სახ. თეატრების მსახიობთა მონაწილეობით.

ხ.

უფრო მეტად ავამაღლებთ სწავლების ხარისხს

ეხლახან ჩატარებული საზამთრო სესიები გვიჩვენებენ, რომ მიუხედავათ დროზე მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა, სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით, ნიშანთა შორის შესამჩნევად ჭარბობს დამაკმაყოფილებელი, ასე მაგ. ყველა საგნებიდან ფრიადზე ჩაბარებულია 15,28%. კარგზე—35,02, დამაკმაყოფილებელზე—45,47%, არა დამაკმაყოფილებელზე—4,23%, თუ კურსების მიხედვით ავიღებთ ნიშნებს მივიღებთ ასეთ სურათს: პირველ კურსზე საშუალოდ ნიშანი უდრის 3,20%-ს, მეორე კურსზე 3,60%-ს. მესამე კურსზე 3,60%-ს, მეოთხე კურსზე 3,17%-ს, ამ რიგად დაწყებული პირველი კურსიდან ზევით კურსებზე სწავლების ხარისხი მაღლა იწევს. საშუალოდ ოთხივე კურსის მიერ პირველი სემესტრი დამთავრებულია ნიშნით 3,6%, ცხადია ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს კმაყოფილი ვიყოთ ასეთი ნიშნით, მართალია ლიბერალიზმთან ბრძოლამ ნიშნის დასმის საკითხში გამოიღო ის ნაყოფი რომ პედპერსონალმა მეტი მოთხოვნები წაუყენა სტუდენტებს და მეტი ობიექტიურობა გამოიჩინა ნიშნის დასმაში (რაც ერთ, ერთი მიღწევათაგანია), მაგრამ ეს უფრო მეტად გვავალებს ფართოდ გაიშალოს ბრძოლა სწავლის ხარისხის აწევისათვის.

სესიებზე სუსტი მიიღო 24 სტუდენტმა, დამკვრელობა გაამართლა 109 სტ. ფაკულტეტზე კი ითვლება 1238 სტ. ეკ. ფაკულტეტზე 11 „ფრიადოსანია“, რომლებიც იძლევიან საუკეთესო მაჩვენებლებს.

ფაკულტეტმა პირველ სემესტრში დიდი მუშაობა ჩაატარა დიპლომანტების გამოშვების საქმეში.

დიპლომანტებთან მუშაობამ, დიპლომების წერისა და მათი დაცვის ორგანიზაციის მოწყობამ დიდი გამოცდილება მისცა უნივერსიტეტს. ეს გამოცდილება უსათუოდ შეუწყობს ხელს ახალ დიპლომანტებთან მუშაობის გაუმჯობესებას.

გამომდინარე პირველი სემესტრის შედეგებიდან ჩვენ უკეთ მომზადებული ვხვდებით მეორე სემესტრს. მეორე სემესტრში, ეხლახან, შეტანილი ცვლილებანი სასწავლო პროცესში მოითხოვს ჩვენს ძლიერ ფხიზელ მიდგომას, მის შესწავლას გზა და გზა ნაკლის გამომჟღავნებას, მის გასწორებას, მეორე სემესტრში მთელი რიგი საგნების ჯგუფურ დამუშავებას. ეს ერთი მხრივ სტუდენტს დროს ბიუჯეტს უდიდებს დამოუკიდებელ მუშაობისათვის, აძლევს მას ფართო მანევრირების შესაძლობლობას ლექციის ხარისხის აამაღლებისათვის და საშუალებას იძლევა გაცდენასთან სასტიკი ბრძოლა ვაწარმოოთ. სტუდენტებისთვის დახმარების გაწევის მიზნით, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის დროს წამოჭრილი გაუგებრობის ახსნისთვის ან სხვა რომელიმე კითხვის გაშუქებისათვის ეწყობა კონსულტაციები; სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებისა და მათი უნარის, ნიჭის გამოვლინებისა და ფართოდ გაშლის მიზნით სისტემატიურად იწარმოებს სტუდენტთა მიერ მოხსენებების გაკეთება ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე და ამ მოხსენების ირგვლივ კამათი სამეცნიერო წრეებში. ეს უკანასკნელი ღონისძიებები ფართოდ შლის გზას სტახანოურად მუშაობის გარდაქმნისათვის სწავლის პროცესში. აქ მთავარი მოვალეობა კათედრებს აკისრიათ, კათედრებმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებთან კონსულტაციები საუკეთესო ძალებით, ასევე უზრუნველყონ სამეცნიერო წრეებზე ხელმძღვანელობა მომზადებული ძალებით. ეს საკითხები კათედრის მუშაობის ცენტრში უნდა იყოს მოქცეული. საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ლექტორთა მიერ ლექციების უმიზეზოთ გაცდენის წინაღმდეგ. კათედრის ყურადღების გამახვილებას მოითხოვს პროგრამის შედგენის საკითხი. ეკონ-ფაკულტეტში შემავალ დისციპლინათა დიდი რაოდენობა სოციალ-ეკონომიური ხასიათისაა. პროგრამა განსაკუთრებით ასეთი დისციპლინაში მოითხოვს, რომ იქ მოცემული მასალა მაღალ თეორეტიულ დონემდის იყოს აყვანილი დამუშავება და გაშუქება იმ ძვრებისა, რომელითაც მდიდარია ჩვენი სოციალური მეურნეობა. მაგალითად „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის“ პროგრამა მიღებულია არსებული სასწავლო წლის დასაწყისში, მაგრამ ვინაიდან მასში არ ყოფილა შეტანილი მნიშვნელოვანი ისტორიული მასალები, ამიტომ, ცხადია, ასეთი პროგრამა უკვე აღარ ვარგა. ამავე დროს საჭიროა პროგრამისა და სწავლების სიწმინდისათვის გამოვიჩინოთ ის შეტევითი რევოლუციონური სიფხიზლე, რომელსაც გვასწავლის ამხ. ბერია.

ეკონომიური ფაკ. დეკანი
ხ. ბერაძე.

ჯგუფი № 114 3,6-დან 3,9-დე

ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განყოფილების მეორე კურსი (114 ა და 114 ბ ჯგუფი) 34-35 სასწავლო წლის სესიებზე ვერ იძლეოდა აკადემიური წარმატების მაღალი მაჩვენებლებს, ჯგუფის საშვალო ნიშანი იყო 3,6.

მიმდინარე სესიების შესახვედრად, ჯგუფმა თავიდანვე გაშალა მუშაობა. ძლიერი სტუდენტები (კალანდია, დოლიძე, რატიანი) მიმაგრებული იქნა სუსტი სტუდენტებზე (ფაცაცია, ხუნდაძე და სხვები) დასახმარებლად. დახმარების სისტემამ თავისი შედეგი მოიტანა; ჯგუფის საშვალო ნიშანი ავიდა 3,9-დე. მათ შორის კომკავშირელთა საშვალო ნიშანი არის 4, ნაცვლად წინა სემესტრის 3,7-სა. **ბახტაძე გიორგი** (კომკავშირელი) წინა სემესტრზე ვერ იძლეოდა კარგ მაჩვენებლებს მის მატრიკულში მხოლოდ ერთი **ოთხი** იყო ჩაწერილი და მას მიყვებოდა მკრთალი სამები. მიმდინარე სემესტრიდან ბახტაძემ თვალსაჩინო გამარჯვებით გამოვიდა, არც ერთი დამაკმაყოფილებელი არ ურევია, სწავლობს ოთხებზე და ხუთებზე.

აღსანიშნავია კომკავშირელი ქალების—გაბუნიას და ოსიპოვას, სესიებზე მომზადებული გამოცხადება. ჯგუფის ფრიადოსანი კომკავშირელები კანდელაკი არჩილი, კალანდია ვლადიმერი, რატიანი პროკოპი, კალანდია დავითი, პაჭკორია მამანტი, დოლიძე გრიგოლი, სოხაძე აკაკი (უპარტიო) აკადემიური მუშაობას ფართოდ უთავსებენ საზოგადოებრივი დავალებათა შესრულებას.

ი. ჯინჯორია.

წარჩინებული სტუდენტი გ. რუხაძე

ბოლო მოუღოთ გაცდენას

ლიტერატურის ფაკულტეტის № 110 და 111 ჯგუფი უდისციპლინობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. გაცდენებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. სტუდენტები გ. ფირცხელაური, მ. კაბულაშვილი, სისტემატურად აცდენენ აკადემიურ საათებს. გაცდენების საპატიოდ ჩასათვლელად მოაქვთ არასაფუძვლიანი ცნობები. სტ. ფირცხელაურმა ასეთი ცნობა წარმოადინა" ფირცხალაური ბარბალე იყო საქმიმო გასინჯვაზე მესამე ჯანგაერთიანებაში„· ფირცხალაური ასეთი ცნობით ითხოვს გაცდენების საპატიოდ ჩათვლას.

ჯგუფში გაცდენების მთავარი მიზეზია ჯგუფის სამკუთხედის სუსტი და მოუქნელი მუშაობა ჯერ კიდევ კონკრეტულად არ დასმულა იმ ამხანაგების საკითხი' რომლებიც სისტემატურად აცდენენ ლექციებს, აგვიანებენ და წესრიგს არღვევენ. ჯგუფის ცალკე წევრები ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული სოცშეჯიბრებაში. მეტად არადამაკმაყოფილებელია პრესის გავრცელება. 110 ჯგუფში„ გაცდენების მამამთავარია თვით ჯგუფხელი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ჯგუფის ნორმალურ მუშაობაზე.

ი. ცანავა

ა ი, რ ა გ ა კ ე თ დ ა

ეკ. ფაკ. კ. კ. ორგანიზაციამ თავის დროზე დაიწყო სამზადისი სესიების საუკეთესოდ შეხვედრისათვის: 29/XI ჩატარებული იქნა ფრიადოსან და სუსტ კ. კ-თა ანგარიში, შესწავლილი იქნა ცალკე კომკავშირელთა ჩამორჩენის მიზეზები და გამოსწორების მიზნით ძლიერ სტუდენტებზე მიმაგრებული იქნენ 32 აკადემიურად სუსტი კ. კ-ლი, მიმაგრების შემდეგ ჩატარებული მუშაობის შედეგები შემოწმებული იქნა 19 დეკემბერს; გამოირკვა, რომ ამ მიმაგრებამ გარკვეული შედეგი გამოიღო: მე-100 ჯგუფის სტუდენტმა წერეთელმა გამოასწორა ჭუმბურიძე, № 131 შალვა გოგატაძემ პოლიტ-ეკონომიაში გამოასწორა დავრაშვილი; მაგრამ იყო ნაკლიც; № 131 ჯგუფის კ. კ. სტუდენტმა ვალერიან ბერიამ ვერ უზრუნველჰყო კაკაბაძის გამოსწორება.

სულ ფაკ-ზე ჩამოყალიბებული იყო 138 საბუქსირო ჯგუფი 451 სტუდენტით, მათ შორის 257 კ. კ. საბუქსირო ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ 91 კ. კ.

გვყავდა მოწინავე საბუქსირო ჯგუფებიც კ. კ. ანდრო ჯოლბორდის (40 ჯგ.), შალვა სამანაშვილის, გრიგოლ საძაგლიშვილის (№ 74 ჯგ.) და იოსებ ამაშუკელის ხელმძღვანელობით, რომელთაც სანიმუშოდ მოაწყვეს დახმარება.

ფაკ-ზე კ. კ. საშუალო ნიშანი უდრის 3,59, უპარტიო ამხ-ბისკი—3,55; 11 ფრიადოსანიდან 8 კ. კ-ია; ფრიადოსნებია: ამხ. მელიქიშვილი ნადია, ბეროძე ოთარი, მელქაძე ვალერიან, დადიანი ქეთო, ჯაფარიძე ალექსანდრე, კვეკვესკირი ოლია; ბევრია ისეთი კ. კავშირელებიც, რომელსაც მხოლოდ ერთი „კარგი" ურევიათ, ასეთებია: ამხ. როგავა ევგენი, ხურციძე ნიკა, ხუნდუა ალექსი, ხიტირი შალვა, სიგუა ვარლამი, ზარქუა ლავრენტი, ძიძუაშვილი აპრაქციონი, შეროზია კალე, წულუკიძე როსტომი, ლასხიშვილი ელენე, ხუროშვილი აგრაფინა, უკლება ალექსანდრე და სხვა.

ამ სასახელო ადამიანების გვერდით არიან კ. კ., რომელთაც ცუდი მაჩვენებლები მოგვცეს სესიებზე, მაგ., ბახტაძე (3 სუსტი), გიორგობიანი სერგო (3 სუსტი). ვერულაშვილი ალექსანდა (3 სუსტი), ნერგაძე ივანე (3 სუსტი), ნაჭყეპია ტრიფონ (3 სუსტი), ტორონჯაძე გება (3 სუსტი), ლომაძე დავით (3 სუსტი), თოროზაშვილი მარიამ (3 სუსტი), კაკაბაძე დავით (3 სუსტი), მირიანაშვილი გიორგი (4 სუსტი), ბულაძე ლომენტი (3 სუსტი), კვატაძე ვლადიმერ (4 სუსტი), ლომსაძე მარიამ (5 სუსტი) სოფრომაძე თამარ (4 სუსტი). საჭიროა აქედანვე დაიწყოს სისტემატიური მუშაობა იმისათვის, რომ წლის ბოლოს ასეთი მაჩვენებლები აღარ განმეორდეს; საჭიროა ყოველმხრივი დახმარების გაწევა სწავლის ხარისხის აწევისათვის. ამ დახმარების ორგანიზაცია ჯგუფორგების და ფრიადოსან კ. კ-თა ამოცანაა.

შურა მენაბდე.

ე. რამიშვილი, ვ. ჭანჭალეიშვილი და თ. ბოლქვაძე არ სწორდებიან

ლიტერატურული ფაკულტეტის 110 და 111 ჯგუფის სამკუთხედებმა სესიებისათვის სამზადისი დროზე დაიწყეს. სისტემატური და ენერგიული მუშაობის შედეგად გაიზარდა ფრიადოსანი სტუდენტთა რაოდენობა. ამხანაგური დახმარებას არ ღებულობს „მასწავლებლის" და „მოწაფის" როლების განაწილების სახეს და ამიტომ ყველას ახარებს ამხანაგებთან მეცადინეობა. მაგრამ... მაგრამ № 110 ჯგუფში გამოჩნდა ახირებული ნებისყოფის და შეგნების მქონე პაწაწინა ჯგუფი **ელ. რამიშვილის, ვ. ჰანჰალეიშვილის და თ. ბოლქვაძის** შემადგენლობით. ამ ვაჟბატონებს მოწინავე ამხანაგებთან მეცადინეობა ზედმეტად ეჩვენებათ, დახმარებას „არ საჭიროებენ" და ჯგუფს ხელს უშლიან სასწავლო პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში. საკვირველია, რომ ესენი ილაშქრებენ მეცადინეობის წინამღდეგ მაშინ, როცა ბოლქვაძეს და რამიშვილს ჩაუბარებელი აქვთ ორ ორი საგანი და ჰანჰალეიშვილს კი სამი საგანი.

ჩამორჩენილებს სახელმწიფო უნივერსიტეტში ადგილი არა აქვს ელ. რამიშვილი, ვ. ჰანჰალეიშვილი და თ. ბოლქვაძე თუ ასე გააგრძელებენ მუშაობას დასტოვებენ მეცნიერების კერას.

მათ შესახებ შეიძლებოდა არაფერი გვეთქვა, რომ ისინი მარტო იყვენ, ისინი მარტო არ არიან მათ ყავთ თანამოსაქმენი, მართალია ცოტა მაგრამ აქ რიცხვზე არარის საქმე.

ორნი.

როგორ ვმუშაობ.

ვირიცხები ისტორიულ ფაქულტეტის მე-3 კურსზე 1-ლ სემესტრში გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი ჩავაბარე ფრიადებზე (8 საგანი) მას მივაღწიე სისტემატიური მუშაობით. მასალას ვამუშავებ პროფესორ-ლექტორის მიერ მითითებულ წიგნებიდან და ლექციების მიხედვით-ვადგენ შეჯამებულ მასალის კონსპექტს ყველა საგანში ვსარგებლობ რუსულ წიგებიდანაც. ყოველ ლექციაზე მივდივარ მომზადებული.

ვმუშაობ ს. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეში. სადაც ვსწავლობ ფრიადზ,

კულტურული დასვენების მიზნით დავდივარ კინოთიატრებში (თვეში 3 ჯერ) სისტემატიურად. ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას. დღეს მიწოდებენ ფრიადოსანს. ვეცდები ეს საპატიო სახელი შევინარჩუნო ბოლომდე. ამისთვის არსებობს ყოველგვარი პირობები, რაც მოგვანიჭა საბჭოთა ქვეყანამ.

ტ. ს. უ. ისტ. ფაკ. მე 3 კ. სტუდენტი: **გ. გაგუა.**

სესიების შედეგები სამართლის ფაკულტეტზე

იანვრის სესიების ჩატარებამ ნათლად გამოამჟღავნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და პარტიულ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გადამჭრელ ღონისძიებების დადებითი შედეგი, მიმართული სასწავლო რეჟიმის შემდგომი განმტკიცებისაკენ.

ლიკვიდირებულია „პერმანენტული" სესიები და მთელი სესიები ჩატარდა მტკიცე ვადებში. გამოცდებისათვის მოსამზადებლად გამოყოფილ 10 დღემ დადებითი შედეგი მოგვცა. სტუდენტობამ ეს პერიოდი, მართლაც მომზადებას მოანდომა, რაც სხვათაშორის იმით მტკიცდება, რომ ამ პერიოდში მთელი მასა სტუდენტობისა, ზოგიერთ გამონაკლისის გარდა ტფილისში დარჩა და სოფელში არ წასულა. ამ პერიოდმა უდაოდ მოგვცა გამოცდებისათვის მომზადების ხარისხის აწევა. სესია ჩატარდა ნორმალურათ: სესიების ცხრილი იყო დაყვანილი სტუდენტობამდე დროულათ, თითო ჯგუფს ჰქონდა მიკუთვნილი დღე და საათი, დიდ ჯგუფებში იყო ჩამოყალიბებული საგამოცდო ქვეჯგუფები. ამ გარემოებამ ძირითადად ალმოფხვრა სტუდენტთა ხანგრძლივი ლოდინი და რიგები.

მასწავლებლებთან „ვაჭრობით" ნიშნის დაწერა მოსპობილია, რაც უნდა აიხსნას რექტორატის სასესიო ბრძანების მასობრივ დამუშავებით თუმცა ცალკეულ შემთხვევას მაინც, ადგილი ჰქონდა: მაგ. 1 კურსის სტუდენტი დანგაძე არამარტო შეევაჭრა პროფ. სურგულაძეს, არამედ უხეშათ მოეპყრო მას „შენს ხელში სტუდენტი ვერ გაიხარებსო".

არ გამოცხადებულთა რიცხვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი რიცხვი 77 ნიშანი (მცირეა, და აბსოლიუტური უმრავლესობა საპატიოა ავადმყოფობით გამოწვეული, არა საპატიო გამოცხადებას ადგილი აქვს მხოლოდ და 2 კურსებზე.

ამხ. მ. ცაკაშვილ

სამართ. ფაკ. დაამთავრა „კარგზე"

ფაკუდტეტის საშუალო ნიშანია 3,77 მათ შორის ს. კ. პ. (ბ) წევრათ 3.58, ა. ლ. კ. კ. 3,95 უპარტიოსი 3,78.

ნიშანთა საერთო რაოდენობიდან, ფრიადები შეადგენენ 11'58%, კარგი 36,87% დამაკმაყოფილებელი 35,53% ს. 6,02%.

სესიების შედეგათ ფაკულტეტზე არის 8 ფრიადოსანი რომლებსაც ჰყავთ ფრიადები ყველა საგნებში. ანთელიძე, ხუროძე, ეთერია, დოლიძე, ა. მამალაძე, ჭანუყვაძე ყურაშვილი და სხვ.

სესიების მიერ გამომჟღავნებულ დეფექტათ უნდა ვაღიაროთ ის გარემოება რომ სტუდენტობა ჯერ კიდევ გადაჭარბებულად იყენებენ ლექციების ჩანაწერებს და არა საკმარისად ამზადებს საგნებს წიგნებით.

ი. მრევლიშვილი.

როგორ მივაღწიე

1933-34 სამოსწავლო წელს მიმიღეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1—კურსზე.

საამისო პირობებიც შემიქმნა უნივერსიტეტმა—მომცეს ბინა საერთო საცხოვრებელში—დამინიშნეს სტიპენდია და სხვ. ენერგიულად და ხალისიანად შეუდექი სწავლას.

ამჟამად ვარ 3 კურსზე. დღემდე ჩაბარებული მაქვს 15 საგანი (მთლიანი კურსი)—ამათგან 13 საგანი—5-ზე 2-იც 4-ზე. უნივერსიტეტში შემოსვლიდან—მხოლოდ ორ საგანში მყავს 4-და ისიც 1—კურსზე მივიღე. უკანასკნელ სემესტრში ყველა საგანში მივიღე 5-თი. ფრიადები ჩემთვის შემთხვევითი არ არის—დაწყებითი სკოლიდან დღემდე ფრიადებზე ვსწავლობ. როგორ ვაღწევ ამას? ლექციებს სისტემატურად ვსწრები. ყველა საგანში შედგენილი მაქვს კონსპექტი—მაქსიმუმი ლიტერატურის დამუშავებით (ლექტორების მითითების თანახმად) და ლექციების მიხედვით. ახლა განსაკუთრებით ვმუშაობ რუსული ენის დაუფლებისათვის. 8 წელიწადია ვეწევი პროპაგანდისტულ მუშაობას. მიმდინარე წელს კი ვსწავლობ პარტისტორიის შემსწავლელ წრეში.

ვითვლები ჯგუფის პროფ. ორგათ. სისტემატურად ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებს. ვიძენ და სისტემატიურად ვკითხულობ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის შრომებს. ყოველგვარ ზომებს მივიღებ ფრიადოსანის სახელის ბოლომდე შენარჩუნებისათვის.

ვალერიან აბულაძე·

ამხ. ნატროშვილი. დაამთავრა ფრიადზე (სამ. ფაკ.

მეცადინეობა ფერხდება

სამართლის ფაკულტეტის მე-2 კურსის (105 106 ჯგ.) მუშაობაში მთელ რიგ დეფექტებთან გვაქვს საქმე. აუდიტორიობის უქონლობის, და ლექტორის გამოუცხადებლობის შედეგად 13 ოქტომბრიდან დღემდის გერმანულ ენაში ჩაიშალა რამდენიმე მეცადინეობა (ლექტორი ნათაძე). ამავე მიზეზით გაცდა ერთი ლექცია და რამდენიმე სემინარი სახელმწიფო წყობის დისციპლინაში (ლექტორი გეგეჩკორი).

ცხრილის მიხედვით ზოგიერთი ლექცია ჩვენთან იკითხება 151 აუდიტორიაში (დილის 9 საათიდან 11 საათამდის), მაგრამ გაერთიანებული კრებისთვის თუ სხვა საჭიროებისათვის ხშირად ეს აუდიტორიას ხშირად იკავებს სხვადასხვა ფაკულტეტები, რითაც ფერხდება ნორმალური მეცადინეობა.

რუსულ ენაში გასულ წელს მე-2-რე კურსის სტუდენტები ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი წელს კი ასე არ არის. ძლიერებისა და სუსტების ჯგუფი გაერთიანებულია. რაც სუსტ სტუდენტებისთვის ანელებს ინტერესს და ხარისხს ამ დისციპლინის სწავლებისადმი.

დისციპლინის და სწავლის დარგში მრავალია მოწინავე სტუდენტი (შენგელია, გოგორიძე, ყურაშვილი, გაბილაძე, კალაბერია და სხვა), მაგრამ არიან ჩამორჩენილებიც (მათიროშვილი, პაპავა, გასვიანი და სხვ.), რომლებთანაც ჯერ კიდევ არაა გამოყენებული საზოგადოებრივი ზეგავლენა, არ ხდება თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება, ახლა მოკვრობილი სოცშეჯიბრი, დამკვრელობის გაშლა საქმე არ ხდება.

ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

თ. მეგრელიშვილი.

ლაპარაკობს გოგიბეჟიშვილი

(ფიზ. მათ. ფაკ.)

ვარ ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის მე-V-ე კურ. სტუდენტი, დღემდე ჩაბარებულ 50-საგანში არცერთი დამაკმაყოფილებელი არ მირევია; ჩემს მატრიკულს ამშვენებს ფრიადები და კარგები· ა-წ. გასულ სემესტრში ხუთივე საგანი ჩავაბარე ფრიადზე.

პირველი და აუცილებელი საგნის დაუფლებისათვის არის ყოველდღიური, სისტემატური მეცადინეობა.

აკადემიურ სწავლებასთან ვათავსებდი საზოგადოებრივ მუშაობას. საბჭოთა სპეციალისტი გზას უნდა ინათებდეს მარქსისტული მეთოდოლოგიით, უნდა კარგად ერკვეოდეს საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობაში.

გამომდინარე აქედან ჩემი სპეციალური საგნის, ფიზიკის ლიტერატურასთან ერთად ვეწაფები მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ნაწარმოებთა ღრმად შესწავლას.

ვარ ჩაბმული პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში. ვესწრები და სისტემატურად ვღებულობ აქტიურ მონაწილეობას დასმული საკითხების გარშემო.

უნივერსიტეტის რექტორატმა, და პარტიულ კომიტეტმა, თავიანთი დაუღალავი შრომით ჩვენ, სტუდენტობას ყველა პირობები შეგვიქმნეს საუკეთესოდ სწავლებისათვის.

ჩ ვ ე ნ ი ფ რ ი ა დ ო ს ნ ე ბ ი

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ) მესხია შოთა (ისტ. ფაკ. III კ.) ლაბაძე ქსენია (ქიმიური ფაკ. V კ.) სულაქველიძე გ. (მათემატ. ფაკ II კ.), ჰყოიძე ვ. (ფიზიკ. V კ.).

მისაბაძი ჯგუფი

ლიტერატურული ფაკულტეტის № 143 ჯგუფი ჯერ კიდევ სემესტრის სესიების დწყებამდე წარმატებით ემზადებოდა საგნების საუკეთესოდ ჩაბარებისათვის. ჯგუფის სამკუთხედმა დროულად მიიღო ზომები რათა სესიებისათვის მოსამზადებლად მოცემული დრო გამოყენებული ყოფილიყო მაქსიმალურად. ამისათვის ჯგუფის სტუდენტთა სურვილის და მიხედვით შეიქმნა ბრიგადები სასესიო საგნებში კოლექტიურად სამეცადინოთ.

აღსანიშნავია, რომ ამან მეტად კარგი შედეგი მოგვცა რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ არსებულ სასესიო საგნებში: (გერმანული, რუსული, ენათმეცნიერება, სტუდენტთა უმრავლესობას მიღებული აქვთ კარგები და ფრიადები. აკადემიური წარჩინების მხრივ ჯგუფის საუკეთესო სტუდენტებათ ითვლებიან კომკავშირელები: **ს. ყაჯარდუზოვი** (კომსორგი), **ელ. ლომთაძე** (პროფორგი), **გ. ხაამოვი** (ჯგუფხელი **დ. ცხაკაია** და **მ. ბარამია**. აღსანიშნავია, უპარტიო სტუდენტთა საუკეთესო აკადემიური წარმატებებიც სესიების დროს. ასე მაგალითად: თამარა შანშიაშვილს, კოტე ხიმშიაშვილს, რ. მარგიანს, ო. ლაბარტყავას, და ეთერი ჩხიკვაძეს. სასესიო საგნებში მიღებული აქვთ ფრიადები და კარგები.

მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ლაპარაკობს იმას რომ აკადემიური წარჩინების საქმეში ჯგუფში ყველაფერი რიგზე იყოს. ჯერ კიდევ არიან ისეთი უპასუხისმგებლო და ზარმაცი სტუდენტი კომკავშირელები და უპარტიოები, რომლებიც აშკარა დაუდევრობას იჩენდენ სესიებისათვის მოსამზადებლად მაგალითად: ა. დეკანოზიძე, შ. ხაჩიძე, რ. ხუნდაძე და სხვები.

ქ. ბ—ძე.

ლაპარაკობს, გვანჯი მანია

ერთი წლის წინად სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსვლა ჩემთვის ოცნებისა და ძვირფასო სასიხარულო საგანი იყო. დღეს უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, ვსწავლობ ფიზიკომატემატიკური ფაკულტეტის პირველ კურსზე. ჩემს სიცოცხლეში, პირველად გავედი სესიაზე, უკანასკნელისათვის კი სექტემბრიდან ვემზადებოდი, ვკითხულობდი სხვადასხვა წიგნებს. არასდროს დავკმაყოფილებულვარ სასწავლო ლიტერატურის მინიმუმით, ვისწავლე დროის ანგარიში წამობით და წუთობით. შედეგი კარგია, მხოლოდ ორ საგანში მივიღე ნიშანი „კარგი“, სხვა საგნებში კი მატრიკულს ამშვენებს „ფრიადები“. ეს მახარებს, მაგრამ ამავე დროს უკმაყოფილო ვარ, რომ იმ ორ საგანშიც არა მაქვს ფრიადი. უკეთესი მუშაობით მივაღწევ იმას, რომ ყველა საგანში —ქონდეს ფრიადი.

პოლიტსწავლების დეზერტირები

საკვირველი და აღმაშფოთებელია, რომ უნივერსიტეტში მოიპოებიან თითო ოროლა ადამიანები რომელთაც ვერ გაუგიათ ჩვენი პარტიის ისტორიის ღრმათ შესწავლის აუცილებლობა. ბიოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი **კობერიძე თამარი** სრული უმეცრებას იჩენს პარტიული განათლების საკითხებზე, მას ამხ. **ბერიას** მოხსენებიდან „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ არაფელი შეუსწავლია. წარმოიდგინეთ წიგნიც არ აულია ხელში. ამ მხრივ კობერიძეს არ ჩამორჩებიან სურმავა ლიდა, ურუშაძე ანტონი, ფარცვანიძე ქსენია, კვატაშიძე ზინა.

რა უშლით მათ ხელს? სრულიად არაფელი, მაგრამ—მოგეხსენებათ არიან ადამიანები რომლებიც ვერ „იცლიან“ არ დადიან მეცადინეობაზე, არ სწავლობენ. ასეთ კომკავშირელებზე საქ. ახ. ლ. კ. კ. მე-10 პლენუმმა მიიღო განსაკუთრებული დადგენილება და ეს აღნიშნული კომკავშირელებზედაც გავრცელდება. თუ არ გამოსწორდებიან ისინი დასტოვებენ კომკავშირის რიგებს.

ი. ოკუჯავა.

გრ. ჯანელიძე

სას. ნაწილის პრორექტორი

სესიები ორგანიზებულად ჩატარდა

სესიების კარგად ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნა. სესიების შედეგები მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ არის დაყენებული ჩვენს უნივერსიტეტში სასწავლო საქმე. მიღწევებთან ერთად ამჟღავნებს ცალკეულ დეფექტებს მუშაობაში, რაც შემდეგში აღმოფხვრილ უნდა იქნეს.

წელს საზამთრო სესიები გაცილებით უფრო ორგანიზებულად და დისციპლინირებულად ჩატარდა, ვიდრე ამას ადგილი ქონდა წინა სესიების დროს.

აღნიშნულ გარემოებას დიდად შეუწყო ხელი წინასწარ მოსამზადებელმა მუშაობამ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ: ფაკულტეტებმა, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიურად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და ის კარგი შედეგები, რომელიც ჩვენ სესიების შედეგად გვაქვს, მიღწეულია ამ საერთო ენერგიული მუშაობით. წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ძირითადი მომენტები შემდეგში გამოიხატება.

სასესიო საგნები დროზე იყო გამოყოფილი, დამტკიცებული და სტუდენტებამდისა და ხელმძღვანელებამდე დაყვანილი. სტუდენტებმა და პროფესორ-პედაგოგიურმა პერსონალმა სესიებამდის $1^{1}/_{2}$ თვით ადრე იცოდენ სასესიო საგნები, რამაც შეუწყო ხელი როგორც არა სასესიო საგნებში მიმდინარე აღრიცხვის დაზუსტებას, აგრეთვე სტუდენტების მუშაობის გაძლიერებას სასესიო საგნებში. სესიებზე გამოტანილ იქნა წამყვანი და საპროფილო საგნები. სესიები გამოვიყენეთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავვეძლიერებია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და **რუსული ენის** შესწავლა. ეს საგნები ყველა პროფილისათვის სასესიო იყო (სადაც კი იკითხებოდა). შევეცადეთ სასესიოდ გამოგვეტანა საგნები უმთავრესად სრული კურსის დამთავრების შემდეგ და არ გამოგვეწვია სესიების დროს სტუდენტების მრავალი საგნებით გადატვირთვა. შექმნილ იქნა პირობები სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. სესიების წინ სასესიო საგნებში ცოდნის სისტემაში მოსაყვანად, მასალის გასამეორებლად და საგანთა ცოდნაში ცალკეული ხარვეზების შევსების მიზნით მათ მიეცათ 10 თავისუფალი დღე.

ამავე დროისათვის გაფართოებული იქნა სტუდენტთა სამკითხველო დარბაზები (დროებით სალექციო აუდიტორიების ხარჯზე) და გაძლიერებული სტუდენტთა მომსახურეობა ბიბლიოთებისა და კაბინეტების მიერ სასწავლო ლიტერატურით.

ჩამორჩენილი სტუდენტები აღრიცხვაზე იქნა აყვანილი და მიმაგრებული ნებაყოფლობის საფუძველზე პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალზე და ფრიადოსან სტუდენტებზე. ჩამორჩენილ სტუდენტთა ე. წ. „კუდების“ სალიკვიდაციოდ გამოყოფილ იქნა სპეციალური დღეები სესიების წინ. რითაც მათ საშუალება მიეცათ არ გადაეტვირთათ თავისი თავი სესიების დროს და მასზე ისინი გამოსულიყვნენ ძველი „დავალიანების“ გარეშე.

წინდაწინ იყო აღრიცხული აგრეთვე ისეთი სტუდენტები, რომლებსაც ავათმყოფობის გამო არ შეეძლოთ სესიებზე გამოცხადება. მათ სესიები გადაედოთ რექტორის ბრძანებით მეორე სემესტრის დასაწყისს 1—7 თებერვლამდე.

წესრიგში იქნა მოყვანილი სასწავლო მეურნეობა. საღრიცხვო ბარათების, მატრიკულების, საკონტროლო ფურცლების შევსება, მათი გაცემისა და უკან მიღების საქმე. **ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ, წელს პირველად უნივერსიტეტის პრაქტიკაში მიღწეულ იქნა სასწავლო მეურნეობის ისე მოწესრიგება რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა გამოცდაზე სტუდენტის მიღების სათანადო სურათით შემოწმებული მატრიკულისა და ფაკულტეტის მდივნის მიერ შევსებული საკანტროლო ფურცლის გარეშე, რითაც განმტკიცდა სასესიო დისციპლინა და სავსებით აღიკვეთა შესაძლებლობა სიყალბის ჩადენისა გამოცდის დროს.**

გამოცდებს ღებულობდა მხოლოდ საგნის ხელმძღვანელი (პროფესორ-დოცენტი) ასიტენტთა თან დასწრებით.

საგამოცდო კომისიების ლიკვიდაციამ და ხელმძღვანელებზე ამ საქმის უშუალოდ ერთპიროვნულად დაკისრებამ კიდევ უფრო გააძლიერა საგნის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა და გაზარდა მისი როლი და ავტორიტეტი.

გამოცდების დროს მიმდინარე სესიებზე მოთხოვნილება სტუდენტებისადმი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წინა სემესტრში. ჩვენ შევეცადეთ ძირშივე ამოგვეფხვრა ლიბერალიზმი ნიშნების დასმის საქმეში, აგრეთვე ცალკეული ლექტორების ზომაზე მეტი „მომჭირნეობაც“ ნიშნების დასმის საქმეში.

სესიების წინ სასწავლო ნაწილის, ფაკულტეტების, კათედრების და სტუდენტთა ორგანიზაციების ხაზით ჩატარებულ იქნა თათბირები, სადაც დამუშავებულ იქნა რექტორის ბრძანება სესიების ჩატარების ორგანიზაციის შესახებ. ბრძანება წარმოადგენდა ჩვენი დადებითი გამოცდილების შეჯამებას სესიების ჩატარების საქმეში. ის პასუხს აძლევდა თითქმის ყველა კითხვაზე, რომელიც შესაძლებელი იყო წამოჭრილიყო ხელმძღვანელისა და სტუდენტის წინაშე გამოცდებთან დაკავშირებით. ერთიანმა სახელმძღვანელო დოკუმენტმა ბრძანების სახით, რომელიც დაიბეჭდა ჩვენ გაზეთში და დაურიგდა ყველას, დიდად შეუწყო ხელი მუშაობის პროცესში სრული გარკვეულობის შეტანას და დამახინჯებათა თავიდან აცილებას.

წარმატების საშუალო ნიშანი უნივერსიტეტისათვის უდრის 3,66. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გაზრდილი მოთხოვნილება, რომელიც ჩვენ წაუყენეთ სესიებზე სტუდენტებს. კარგი ნიშნები, წელს ისე „უხვად“ არ იწერებოდა, როგორც ამას წინა წლებში ქონდა ადგილი. მიუხედავათ გაზრდილი მოთხოვნილებისა წარმატების საშუალო ნიშანი $3^{1}/_{2}$-ს სცილდება ზევით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სტუდენტების ძირითადი მასა უსათუოდ მომზადებული მოვიდა სესიებზე.

გამოცდების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ავანგარდული როლი პარტიის წევრებსა და კანდიდატებს ეკუთნის (რასაც ზოგიერთ სესიებზე წინათ ადგი არ ქონდა) მათი საშვალო ნიშანი 3,69-უდრის. შემდეგ მიდის კ. კ. წევრები 3,65; უპარტიო სტუდენტების 3,63:

ნიშანთა საერთო რაოდენობაში (25275) ფრიადები $18,72^{0}/_{0}$ ს უდრის, კარგები $34,54^{0}/_{0}$-ს, დამაკმაყოფილებელი $40,71^{0}/_{0}$-ს, სუსტი 6,03-ს.

მართალია, საერთო ნიშანს ძირს სწევენ უმთავრესად პირველი კურსები (მაგალითად ბიოლოგიური ფაკულტეტი პირველი კურსის საშუალო ნიშანი სამამდე ძლივს აღწევს), მაგრამ სუსტი სტუდენტები უფროს კურსებზედაც გვყავს, რაც, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს.

ზოგიერთ საგნებში ადგილი ქონდა სტუდენტთა არ გამოცხადებას სესიებზე. იყო შემთხვევები ცალკე სტუდენტების მიერ სიყალბის ჩადენის ცდისა. ხელის მოწერა მატრიკულში ლექტორის ნაცვლად, ლექტორისადმი უხეში მოპყრობა (სამართლის ფაკულტეტი) დამაკმაყოფილებელი ნიშნის ძალით მიღების ცდა (ჯანელიძე სიმონ, გეოლოგიურ-გეოგრაფიული ფაკულტეტი) და სხვა ყველა ასეთ შემთხვევაში მიღებულ იქნა ენერგიული ზომები, როგორც ადმინისტრატიული, ისე აღმზრდელობითი ხასიათის.

სესიების შედეგები დამუშავებულ იქნა ყველა ფაკულტეტებზე 16 თებერვალს. ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე დადებით მხარეებთან ერთად კიდევ იქნა გამომჟღავნებული ცალკეული დეფექტები და მასთან დასახული იქნა კონკრეტული ზომები მათ აღმოსაფხვრელად. ჩვენი შემდგომი მუშაობის გაძლიერება და დეფექტების აღმოფხვრა დამოკიდებულია უმთავრესად ფაკულტეტების დეკანების მუშაობაზე და პარტიულ-კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიურ დახმარებაზე. მეორე სემესტრი თავისი მუშაობის გეგმებით უფრო რთულია. მე-4 და 5 კურსები მოსაწყობია საწარმოო პრაქტიკაზე და უნდა მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის, რაც დიდ მუშაობას მოითხოვს. საჭიროა ძალთა მეტი მობილიზაცია და თავდადებული მუშაობა. უნდა შევძლოთ სასწავლო წლის საუკეთესო მაჩვენებლებით დამთავრება და ახალი სასწავლო წლისათვის ბოლშევიკურად მომზადება.

პარტმასობრივი მუშაობა ძირა რგოლებში

პარტიულ მასობრივი მუშაობის გარდაქმნა ძირა რგოლებში კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური შეიარაღება, ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლა წარმოადგენს ყველაზე უკეთეს საშუალებას აღზრდისათვის.

„გაღიდდა მმართველი პარტიის როლი, პარტიული ხელმძღვანელისა პროპაგანდისტის, აგიტატორის როლი, ახლა არ კმარა მარტო რევოლუციონური საქმის ერთგულება, საჭიროა გვქონდეს ცოდნა, საფუძვლიანად ვიცნობდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, გვქონდეს განსაკუთრებული გამჭრიახობა და სიფხიზლე“.

(„პრავდა“)

ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად სახ. უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა თავისი მუშაობა გადაიტანა ერთეულ კომუნისტებთან. ამას წინათ სახ.-უნტის მუშფაკში მოწვეულ იქნა პარტჯგუფორგებისა და აგიტატორების თათბირი. თათბირს ხელმძღვანელობდა ს. კ. პ. (ბ) სახ. უნ-ტის პარტკომის მდივანი ამხ. ს. გეგენავა.

რა გამოირკვა ერთეულ კომუნისტების მუშაობის შესწავლისას? ის, რომ პარტჯგუფორგებსა და აგიტატორებს ძირითადად შეგნებული აქვთ ეს დიდი მუშაობა პარტჯგუფორგი რუხაძე ვლადიმერი და კუტიბაშვილი ილო დაინტერესებული არიან იბრძოლონ ჯგუფებში პარტ.-მასობრივი მუშაობის გაშლის საფუძველზე სწავლის სტახანოველობისათვის.

„ჯგუფში დავამუშავეთ,—ამბობს ჯგუფორგი,—ამხ. სტალინის სიტყვა წარმოთქმული სტახანოველთა I საკავშირო თათბირზე, ამხ. სტალინის სიტყვა კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა თათბირზე და იტალია-აბისინიის ომის შესახებ. ვმუშაობ ჩემი იდეურ-პოლიტიკური შეიარაღებისათვის, რომ უფრო ნაყოფიერი გავხადო მუშაობა ჯგუფში. რომ მე მართლა გამოვხატავდე მმართველი პარტიის წევრის ყველა თვისებებს, ვწავლობ ჩემი ჯგუფის სტუდენტობას, დაინტერესებული ვარ სტუდენტთა განწყობილებებით, ვეხმარები და ვხელმძღვანელობ კომკავშირის მუშაობას პოლიტ-სწავლების დარგში და სხვ.“.

ამხ. გეგენავამ თათბირს მისცა მთელი რიგი კონკრეტული მითითებანი ძირა რგოლებში და ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის კიდევ უფრო გარდასაქმნელად.

გრ. შეწირული

წარჩინებული სტუდენტი
ამხ. გ. მანია

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) გოგეჯიშვილი ფრიადოსანი (მათ. ფაკ. მე-V სტ.) დადიანი ქეთო ფრიადოსანი სტუდენტი (ეკ. ფაკ.) კუკავაძე ფრიადოსანი (მათ. ფაკ. სტ.) ჩხეიძე ელენე ფრიადოსანი (ეკ. ფაკ. სტ.)

ფრიადოსანი ამხ. ილარიონ კოპალიანი

ილარიონი კოპალიანი მეცნიერების დაუფლების სურვილმა, მოაშორა თავისი ცოლშვილს და სოფ. ლუხვანოდან (ცაგერის რაიონი) ტფილის ჩამოვიდა. გულისფანცქალით ელოდება შედეგს მიაღწევს თუ არა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის საამაყო სახელს. ახალგაზრდა კაცისთვის ძნელი წარმოსადგენია გამოცდებზე „ჩაჭრა“ და იმედ გაცრუებული სახლში დაბრუნება. ვინ იცის შეიძლება ილარიონსაც ასეთი ბედი ეწვიოს... მაგრამ არა.

ის უკვე საფ. ეკონ. ინსტიტუტის საგეგმო განყოფილების სტუდენტია. ინსტიტუტების უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგაც საგეგმო განყოფილებაზეა.

თავისი პროფილის სიყვარული, სურვილი და მონდომება მეცნიერების დაუფლებისათვის აი რა ახასიათებდა უნივერსიტეტში შესვლის დღიდან ილარიონის საქმიანობას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პირველი კურსიდან მას არც ერთ მეცნიერულ დისციპლინაში არ მიუღია სხვა ნიშანი გარდა **ფრიადისა**.

მან ფრიადზე დაამთავრა საგეგმო განყოფილების სრული კურის და ახალი ენტუზიაზმით შეუდგა სადიპლომო შრომის დამუშავებას. ზაფხულიდან დეკემბრის თვის ბოლომდე მან მთელი მისი შესაძლებლობა მოახმარა დიპლომზე მუშაობას. მისი შრომა „**სავაჭრო საფინანსო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია რაი კავშირის მაგალითზე**“, ა-წ. 5 იანვარს საკვალიფიკაციო კომისიის მიერ შეფასებული იქნა ფრიადზე.

ილარიონი, უმაღლესი მეცნიერულ კვალიფიკაცით შეიარაღებული, მიდის უნივერსიტეტიდან. მიდის და თან მიაქვს ხუთი წლის მუშაობაში და ბრძოლაში გამარჯვების სიმბოლო **დიპლომი**.

ქ. კაცია.

ამხ. ა. მჭედლიშვილი.
ეკ. ფაკ. დაამთავრა ფრიადზე

ჩავაბარე ფრიადზე

ჩემი სადიპლომო შრომა „საქონლის გამოცდის მეთოდები, კლასიფიკაცია და თეორიული დასაბუთება“ წარმოადგენდა რთულს, და საქონელთ-მცოდნეობაში ერთერთ ძირითად საკითხს.

სადიპლომო შრომაში წამოყენებული საკითხების გადაჭრა დამუშავება შევსძელი, რომელსაც ადასტურებს საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, ჩემი შრომის შეფასება—ნიშან „ფრიადზე“. რაშიაც დიდი დახმარება და მზრუნველობა გამიწია პროფ. ქ. მეგრელიძემ.

ამასთან ერთად მე თავიდანვე ვიბრძოდი სწავლების მაღალი ხარისხისათვის. ნიშანი „ფრიადი“ ჩემი საერთო ნიშნების 90%-ს შეადგენს. ამ რიგათ ყველა საგნების, საფუძვლიანმა შესწავლამ. საშვალება მომცა სადიპლომო შრომა ჩამებარებია წარჩინებით.

სადიპლომო შრომის დამუშავება დავიწყე თემის არჩევისთანავე ე-ი 1935 წ. 1-IV-დან.

მომავალში მიზნათ ვისახავ ჩემი ცოდნა უფრო მეტად გავაღრმაო და გავაფართოვო და იგი მოვახმარო სოციალისტურ სამშობლოს.

ა·პეტრიაშვილ ი.

ზოოლოგიის კათედრის მუშაობა გარდაიქმნა

მთელი რიგი წლების განმავლობაში ზოოლოგიის კათედრის მუშაობა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე: დაბალი იყო ზოოლოგიის სწავლების ხარისხი და არც არავითარი საკვლევო მუშაობა არ სწარმოებდა; ამიტომ სავსებით დროული და მიზანშეწონილი იყო ხელმძღვანელობის შეცვლა და კათედრის გამგეთ მეცნიერების დოქტორის, პროფ. ლ. კალანდაძის მოწვევა.

მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისში მოხდა ზოოლოგიის კათედრის შემადგენლობის გადახალისება: მოწვეულ იქნა სამუშაოდ ახალი ძალები, დოცენტები ე. როსტომბეგოვი, ივ. ჩხიკვიშვილი, მ. ბურჯანაძე, მ. ჭავჭანიძე და სხვ.

გადასინჯული იქნა კათედრაში შემავალი საგნები მათი კურსებზე განაწილებისა, საათების რაოდენობისა და დაჯგუფებათა დაზუსტების მიზნით. (შემოღებულ იქნა, ახალი საგნები, როგორიც არის შედარებითი ანატომია, სარეწაო ცხოველთა ბიოლგია, სისტემატიკა და სხვა).

კათედრამ შესაფერისი ყურადღება მიაქცია სწავლის მეთოდიკის საკითხებს. თავის დროზე კათედრის სხდომაზე გარჩეულ იყო შესაფერისი დადგენილებები, მეთოდური მითითებანი და სხვ. (მაგ. რექტორის ბრძანება № 326, 20/X). მოსმენილი იყო აგრეთვე ცალკე მასწავლებელთა მოხსენებები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ, რის შემდეგ კათედრას გამომოჰქონდა საჭირო დასკვნები და ღონისძიებანი. გარდა ამისა იგივე სწავლის მეთოდიკის ხარისხის ამაღლების მიზნით კათედრამ 4/XI ჩაატარა სანიმუშო ლექცია ენტომოლოგიაში (პროფ. დ. კალანდაძე) და ახლო მომავალში ჩაატარებს საჩვენებელ ლაბოლატორულ მუშაობას ზოოლოგიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე საგნის ხელმძღვანელები ესწრებიან ასისტენტების მუშაობას, ამოწმებენ და ძითითებებს აძლევენ მათ.

სტუდენტების ცოდნის გაღრმავების მიზნით კათედრა აყალიბებს საგნის მოყვარულთა წრეებს. ამ ჟამად ასეთი წრე უკვე მუშაობს ენტომოლოგიაში, რომელმაც უკვე ჩაატარა 2 სხდომა, შეადგინა სამუშაო გეგმა და სხვ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზოოლოგიურ დისციპლინებში სახელმძღვანელოები თითქმის არ მოიპოვება. ამ გარემოებას კათედრამ შესაფერისი ყურადღება მიაქცია და უკვე ითარგმნება კათედრის წევრთა რედაქციით უმთავრესი სახელმძღვანელოებ. ზოოლოგიისა Догел-ის, Кошкареви-ის, Стенчиски-ის, Павловски-ის, Заварзин-ის და სხვ.) ამას გარდა კათედრამ დასვა საკითხი ზოოლოგიის ქართულ ტერმინოლოგიისა და ნომენკლატურის დამუშავების შესახებ. უკვე გამოყოფილია კომისია, რომელმაც მასალა უნდა დაამუშაოს და კათედრის შესაფერ დასკვნის შემდეგ წარადგინოს ცენტრალურ ტერმინოლოგიურ კომისიაში. სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით მიღებულია ზომები კათედრის მუზეუმის სისტემაში მოსაყვანად შესაკეთებლად და შესავსებად. დღემდე ეს მუზეუმი ვერ იყო ისე მოწესრიგებული, რომ სტუდენტებს შესძლებოდათ მისი გამოყენება.

კათედრამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება ასპირანტების საკითხს. კათედრაზე მიმაგრებულია 4 ასპირანტი. მათთან სპეციალურ დიდ კოლოკუმს ატარებს დოც. როსტომბეგოვი, ცალკე ასპირანტები მიმაგრებულია ხელმძღვანელებზე და თითქმის ყველას აქვს ინდივიდუალური გეგმა. ამას გარდა ყოველი ასპირანტი აწარმოებს პედაგოგიურ მუშაობას, ჩატარდა ამ მიმართულებით მათი მუშაობის შემოწმება კათედრის პედ. პერსონალის დასწრებით.

კათედრა თავის დროზე ჩაება სოცშეჯიბრში და გამოიწვია ბოტანიკის კათედრა. ინდივიდუალურ შეჯიბრში ჩაბმულია თანამშრომელთა მეტი წილი.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ კათედრა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ბინის სივიწროვის მხრივ. მას უჭირავს ერთი დიდი და ორი პატარა ოთახი და ერთი პატარა აუდიტორია, რაც სრულიად საკმარისი არ არის. მუზეუმის გაშლა შეუძლებელია, ლაბორატორული მუშაობა ფერხდება და სხვა. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

პ—ნი.

რა გავაკეთე

ეკონომიურ და ისტორიულ ფაკულტეტებზე ვამუშავებ პრაქტიკუმს პოლიტიკურ ეკონომიაში. საგნის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით თავიდანვე სერიოზული ყურადღება მივაქციე სტუდენტობის მუშაობას ძირითად წყაროებზე—მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის შრომებზე. ყველა ჯგუფებში თავიდანვე დავამუშავე წიგნზე ნაყოფიერი მუშაობის საკითხი. ჩავატარე ახსნაგანმარტება კონსპექტების შედგენის მნიშვნელობაზე.

კატეგორიულად უკუვაგდე კონსპექტის შედგენის ისეთი წესი, როდესაც სტუდენტი საკითხებს იწერდა სათანადო ლიტერატურის დაუმუშავებლად. წინათ სტუდენტები — თავართქილაძე, ჩინჩალაძე, მეზვერიაშვილი და სხვ. კონსპექტებს ლექციის დროს ადგენდნენ, ახლა კი ასე არ არის.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ძლიერი სტუდენტების მუშაობის გამოცდილების გაზიარებას ჩამორჩენილთათვის. სისტემატიურად ვარჩევ სტუდენტების მიერ შედგენილ კონსპექტებს დავაძლევ კონკრეტულ მითითებებს შეთვისების მაღალი ხარისხის მისაღწევად.

აკადემიური ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზნით ყველა ჯგუფებში სუსტ სტუდენტებს მივამაგრე ძლიერები. პირადად ყოველგვარ დახმარებას ვუწევ ჩამორჩენილებს მოწინავეებად გახდომისათვის რის საფუძველზე წინად ჩამორჩენილი სტუდენტები დღეს მოწინავეები არიან: ქსენეფონტოვი, ცაგარელი, დ. ბულაძე და სხვ.

ყოველ ექვსდღიურში ვატარებ 4 საათიან დამატებით ლექციებს, რითაც ჩამორჩენილ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ საფუძვლიანად შეისწავლონ პოლიტიკური ეკონომიის საგანი.

ნუცუბიძე.

ჭ ა დ რ ა კ ი

ჩვენი წრე

ჭადრაკის წრის მუშაობას ტ. ს. უ. კლუბთან დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოკლე დროშიც მან კარგი შედეგი მოგვცა.

კლუბს შემოკრებილი ყავს საკმაო რაოდენობით ახალგაზრდობა — სტუდენტობა და მეცნიერული მუშაკებიც კი. წრის მუშაობა დიდი ხალისით მიმდინარეობს ამხ. ს. კანკავას ხელმძღვანელობით. ამჟამად მიმდინარეობს ტ. ს. უ. მაშტაბით საუკეთესო მოჭადრაკეთა ტურნირი. რომელიც დიდ ინტერეს იწვევს ახალგაზრდობაში.

ამ მხრივ მუშაობა კლუბმა გადაიტანა სტ. საცხოვრებელშიც. ამას წინათ სტუდენტთა ქალაქში მოეწყო ჭადრაკის ერთდროული სეანსი=30=დაფაზე. სეანსი ჩაატარა ამხ. კანკავამ. სეანსმა დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდობაში—სეანს დაესწრო 500-ზე მეტი სტუდენტობა. სეანსი 5-საათის ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ანგარიშით:

+25—ა=2. ამხ. კანკავას სასარგებლოდ. უნდა აღინიშნოს რომ სეანსში მონაწილეთა უმრავლესობამ გამოამჟღავნა ჭადრაკის თამაშის კარგი ტეხნიკა—როგორც ეს აღნიშნა თამაშის შემდეგ ამხ. კანკავამ.

სასურველია შემდეგისათვის ამ მხრივ კიდევ მეტი მუშაობის გაშლა.

ხიმ. ფაჩულია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

ჩამოთვლილი საბუთები ჩ. ბ·

პროფკავშირის წიგნაკი №2011 გრ. ჯაფარიძის სახელზე. სტ. მოწმობა ქ. კელენჯერიძის სახელზე.

პროფკავშირის წიგნაკი ი. კიკვაძეს სახელზე.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია მთავლიტის რწმუნებული № დ-71